მსაჯთან შეკამათებისათვის...

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 4 ნოემბერი. მოღრუბლულობა. 10 გრადუსი. 15 000 მაყურებელი.

“შახტიორი” (დონეცკი) - “დინამო” (თბილისი) 0:0.

“შახტიორი”: კოროტკიხი, გოლოვკო, ზუბკოვი, მეშჩერიაკოვი (ანდრიენკო - 75), ცუნინი, სალკოვი, სოროკინი, სტანკიავიჩუსი, ლევჩენკო, პანინი, ევსეენკო.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, მესხი (დათუნაშვილი - 78).

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი). გვერდითი მსაჯები – ე. ბორისოვსკი და დემჩენკო (ორივე მოსკოვი)

დუბლიორები - 1:0 “შახტიორის” სასარგებლოდ. Gგოლი გაიტანა ვერიგინმა

განვლო იმ დრომ, როცა “შახტიორის” ყოფნა-არყოფნის საკითხი “ა” კლასის I ჯგუფში პრობლემას წარმოადგენდა. დონეცკის ფეხბურთელებმა საჭირო გარანტიები, როგორც იქნა, მიიღეს და ახლა თამაშობენ თავისუფლად, შეუბორკავად. გარდა ამისა, ეს იყო “შახტიორის” ბოლო გამოსვლა საკუთარ სტადიონზე, ამიტომ გუნდმა თავის მაყურებლებს აჩვენა ყველაფერი, რისი უნარიც კი შესწევდა.

პირველი ტაიმი ძირითადად მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და სტანკიავიჩუსსა და სოროკინს ჰქონდათ ბურთის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობანი. კარგად ითამაშეს ურუშაძემ და “დინამოს” დაცვამ, სადაც ორგანიზატორის როლს ხურცილავა ასრულებდა.

მეორე ტაიმში თბილისის “დინამო” 10 კაცის შემადგენლობით დარჩა, ვინაიდან მსაჯთან შეკამათებისთვის მინდვრიდან იქნა გაძევებული მეტრეველი, ამ გარემოებამ, რასაკვირველია, გარკვეული დაღი დაამჩნია სტუმრების თამაშს, მაგრამ მათ მაინც შექმნეს გოლის გატანის რეალური შანსი: იამანიძემ ზუსტი გადაცემით გაიყვანა სრულიად ღია პოზიციაში, ცარიელი კარის წინ დათუნაშვილი და ამ უკანასკნელმა თავით ააცილა ბურთი მიზანს.

მ. სტრელკო.

“ლელო”, 6 ნოემბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 5.11.65